სახალხო გაზეთი

№ 273 ოთხშაბათი, 6 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 273

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 3ეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხუთი ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი 3ეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ჩამოგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სოფრასენ“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო საზლის ლ. და ე. მეტიდ და ამს—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, ჩიხანიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკოვაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდავი მიერე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრ ფებები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ბანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

შაქრო ივანეს ძე შაიბიძე, მეუღლე მისი **სოფიო,** შვილები **მარუსა** და **ივანე, გიორგი** და **მარუსა ჩიჩუები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველ—დედის, მეორე—დედამთილისა და უკანასკნელნი—დიდედის

ანნა შარაგიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 7 აპრილს, დილის 9 საათზე, ავქალის ქუჩიდან, სახლი მჭედლიძისა, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—2—1)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 11 აპრილს 1911 წ. ქართული თეატრის მსახიობი

შაქრო საფაროვი

გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული ტრაგედია

დიდი მოურავი

5 მოქმ. და 17 სურათად თხ. ან. ფურცელაძისა.

მონაწილეობენ ქ ნნ: გიქორგელი, კარიარეულელი, ბეჟანიშვილი, ჯავახიშვილი ბ-ნნი: ამამიძე, არადელი, გრიმაზვილი, გუნია, გაბაშვილიძე, ბეკარაძე, ივანიძე, ყიფიანი, ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, მამფორია, საფარეფი, ციციშვილი, მალიკაშვილი და სხვანი.

ამავე პიესაში **ქართული ხორა** შეასრულებს სხვა და სხვა სიმღერებს, ოდგ. ფასი 30 კ. 2 მ. 50 კ.-ზედ. **დასაწყისი ხალ. 8 ს.** მზადდება წარმოსად. ახალი პიესა „ცხოვრების გარეშეო“, „მსხვერპლი“, „ქეთევან წამებული“. (4—1217—1)

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი

„ალბიონი“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თეგეფორაძის სახლი. ხელ-მოსაწერი ფული ეხდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ამრლ.ლან წლის დამლეგამდე 5 მან. და 10 მაური. თვიური—ოთხი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური. გაზეთადების ფასი: პირველ გვერდზე ხტრიქ. 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. საბჭოთა ოფიციალური განცხადებები მიიღება გაზ. „ალბიონ“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-დან 7-დე.

(10—1) რედაქტორ-გამომცემელი ა. ბუმბაძე.

ბოლოვინის პროსპექტი ციხე—სპორტი

11 აპრილს, 1911 წ. გაიხსნება საერთაშორისო ჩემპიონატი ფრანგულის

ჭიდაობისა

ყველა ქვეყნების ბროფესიონალურ ფალავნებისა. დირექციამ მიიწვია ცნობილი ფალავნები პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, პარიზიდან, ბერლინიდან, ანტვერპენიდან, ვენიდან, ბრაგიდან, ამსტერდამიდან, ჰამბურგიდან და ლონდონიდან. ხიას ამ დღეებში გამოიქვეყნებენ. ჩემპიონატის ხელმძღვანელად მოწვეულია ცნობილი არბიტრი ატლეტიკის ბროფესორი ივანე ელადიმერის ძე **ლებედევი** (ბიძია ვანეკ). მოწაწილეთა ჩაწერა გრძელდება. (2—1216—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალეგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთად ოთხ-კუთხ სეტენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქმარეთ, ილიას ქუჩიდან, ელიზავეტინსკაიას 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—19)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოეყოლებილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტლეცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ვედეკანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირბდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოფი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

წამლოგა „606“-ით

(Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეიძლებათ. საფასურით.

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ახალი საქმე“, „სინათლე“, „ბაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონტი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სილნალში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიმართეთ ერასტე დავითის ძე ბორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ამხ. „სპორაპბის“ გამომცემლობა

სთხოვს აგენტებს ხელის მომწერლების ფული „დრამგზსა და კომედიებზე“, გამოგზავნონ აუცილებლად 8 აპრილამდის—წინააღმდეგ შემთხვევაში, ფული ხელის მომწერლებისა აღარ იქნება მიღებული. (2—1)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ბიის თესლისა

ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ბიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—24)

სამკურნალო

სპეციალისტ სამზედრო ექიმებისა გარედან მოხერხულე ავადმყოფთათვის. ანქიხ დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს, ბაღის მანლოზლად, ტელეფონი N 483.

თანხა რჩიანისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-ღდე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებია: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვსკი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოხსელევინა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყალამჭაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს

საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—5.—76)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—79)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე ჯიროჩნის ქ., № 9. (ო)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და კეთდება რენტგენის ზნეგებით. ვეარა, ყორდანოვის ქ. N 20. (0—5.—90)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ჯოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანიხა. (ო)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და გენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, ახალი გაბაშვილიხა. (ო)

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ უკვე მიიღო საზოგადოების განყოფილებათაგან 1909 და 1910 წლის ანგარიშები, რომელიც გამგეობამ უკვე შეამუშავა და საერთო ანგარიშის ბეჭდვას შეუდგა. დაბეჭდილი ანგარიში ამ დღეებში გამოვა. საზოგადოების წევრთა წლიურ კრების მოწვევა ნაადგომევისთვის არის განზრახული,

✦ ტფ. გუბერნატორმა ნება [illegible] ფიანს, გამოსცეს ტფილისში **ყოველ-დღიური ქართული გაზეთი „ცხოვრების საქმე“.**

✦ როგორც გვწერენ, სოფელ ალის (გორის მაზრა) საზოგადოებას დაუდგენია, **წვრილის კრედიტის ამხანაგობა** დაიარსოს. შესაფერი შუამდგომლობა უკვე აღუძრავს.

✦ 4 აპრილისთვის დანიშნული ტფ. **ქალაქის საბჭოს კრება** არ შესდგა, რადგან ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა.

✦ ტფ. პოლიციმეისტერმა უბნის ბოქაულებს დაავალა, სასტიკად ადევნონ თვალყური, რათა **სასმელი დუქნები აღდგომის უქმეებში თენის დროზე იკეტებოდეს.** 8 აპრილს სასმელი დუქნები მთელს დღეს უნდა დაიკეტოს, 9 აპრილს საღამოს 6 საათიდან, აღდგომა დღეს—მთელის დღით, აღდგომის მეორე და მესამე დღეს უნდა გაიღოს წირვის შემდეგ და დაიკეტოს არა უგვიანეს საღამოს 6 საათისა, ეს განკარგულება არა ვრცელდება სასტუმროებსა და რკინის გზის ბუფეტებზე.

სავაჭრო, სამრეწველო, და სახელოსნო დაწესებულებანი 10, 11 და 13 აპრილს მთელის დღით უნდა დაიკეტოს, ასეთ დაწესებულებებში მუშაობის ნება არც ერთ ეროვნების ხალხს არა აქვს.

წარმოდგენებისა და სხვა გასართობების გამართვა აღდგომის მეორე დღიდან შეიძლება.

✦ როგორც გვწერენ, უკანასკნელ დღეებში სილნალის მაზრაში ეტეფნა **წვიმა** ყოფილა, რასაც ძალიან გამოუბრუნებია ნათესები.

✦ **ტფ. გუბერნატორმა დაადგინა:** 1) ზაკარია კაზიშვილი ხორცის ძვირად გაყიდვისათვის 50 მანეთით. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ და 2) ვასილ ნასიძე პოლიციელის შეურაცყოფისათვის 100 მანეთით. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ.

✦ 4 აპრილს ტფილისში კარბოლის სიმეავით **თავი მოიწამლა** მარინე ნიკანდრის ასულმა სტეფანოვისამ, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

✦ როგორც გვწერენ, ამ დღეებში მელაანის აგარაკში (სილნალის მაზრა) **ათი დეხეტინა ტყე გადამწვარა.**

✦ **4** აპრილს ტფილისში **დააპატიმრეს** პეტრე არშაკის ძე სუგიევი და არშაკ საკის ძე საკოვი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნდნენ.

✦ როგორც ტფ. ქალაქის გამგეობის მიერ მიღებულ დეპეშიდან ჩანს, **ქალაქის მოურავი ა. ი. ბატისოვი** 3 აპრილს პეტერბურგიდან ტფილისს გამომგზავრებულა.

✦ **ნავთლულის რკინის ხაზის სადგურის გასაფართოებლად** გადადებულ იქმნა 5,300 ოთხ-კუთხი საჟენი საქალაქო მიწა, რომლის ფასადაც რკინის გზის მმართველობა ქალაქს 40,942 მან 50 კაპ. აძლევს.

✦ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** ვიცე-პრეზიდენტმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა თავისუფალ დროს უქონლობისა გამო.

✦ **უფასო სასადილოთა საზოგადოების წევრთა წლიური კრება** [illegible] მოეხდა. პირველად წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების მოქმედების წარსული წლის ანგარიში, საიდანაც სჩანს: საანგარიშო წელს საზოგადოებას სხვა და სხვა პირისთვის უფასოდ 95,181 სადილი მიუცია, ხოლო ერთის მაურის ფასით 28,200 სადილი. საზოგადოებას წევრი ჰყოლია 244. ამავე ხნის განმავლობაში ხელ-უხლებელი და სხვა თანხები ჰქონია სულ—28 500 მან. 83 კაპ. დაუხარჯავს—9,443 მან. 69 კაპ. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა—9,500 მან. აგრედვე დამტკიცებულ იქმნა. დასასრულ არჩევნები მოეხდა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ე. გ. საფაროვისა, ე. ი. ტერ-მინასოვისა და ე. ს. იზმიროვისა. სარევიზიო კომისიის წევრებად: ს. გ. კაფიევი, მ. ს. წურინოვისა და ს. ბ. მანუელიანცი.

✦ წარსულ მარტის განმავლობაში ალამიანცის სახელობის საქალაქო საავადმყოფოში იყო 123 ავადმყოფი. ამ თვის განმავლობაში სამკურნალოში დაწვა 194, გამოეწერა 166 და გარდაიცვალა—23.

✦ დღეს, 6 აპრილს, მიწად-მოქმედებისა და მიწად-მომწყობის კავკასიის მთავარ რწმუნებულის კანცელარიაში **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის კრება მოიხდება** რამდენისამე საყურადღებო საგნის განსახილველად.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით **სამის თვით დააპატიმრეს** სოფ. ნორიოს (ტფ. მაზრა) გლეხი გაბო შუბაშვილი, რომელსაც ებრალებენ: ყაჩაღ ლადო ფეიქრიშვილის ბრბოს დახმარებას უწევს სურსათისა და საომარ იარაღის მიწოდებითო.

✦ გუბერნატორმა შეეჩერა დადგენილება ტფ. ქალაქის საბჭოსი, რომელმაც დაადგინა, მიიღოს ხოჯამანოვისგან ანდერძით დატოვებული 1,000 მ.

✦ **ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა 1912 წლის ხარჯთ-აღ-**

ექიმი კბილისა **ნინო რაცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდ. საღამ. 5—7 საათ. ოზმაილოვის ქ. N2.

ექიმი ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი**

კათოლიკეების ქუჩა N 33.

ხაზოვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყებს სიფილისის მკურნალობას **606** პრეპარატით ერლიხ წატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და საყმაწვილოსი ხნეგა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა აბალ-ანალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, რომ-ელნიც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისანთანავე ეგზავნებათ საგანგებო შეხანვეკებში ხტერილიზაცია გაგეთებული ეპრეგეტები სისხლის გამოგზანისთვის ვასერმანისებურათ გამოხაგვლევად. (50—1078—33)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

ბიბაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლეგ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. იღებს ყოველ დილის 9—11 ს.-დე, და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—39)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ვ. ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბოგოლიხა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—349

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ქ. ქუთაისში

„ყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვთა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიუკრაძისა. (თ.—188—41

რიცხვის შედგენას. გამგეობის ყველა ხელ-ქვეით დაწესებულებებში გაგზავნილ იქმნებიან საგანგებო კომისიები ამ დაწესებულებათა გამგეთაგან შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის ფაქტიურად შესამოწმებლად.

✦ აგერ მესამე დღეა **მტკვარმა იკლო.**

✦ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეს შარშანდელ წლის ამავ თვეებთან შედარებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ბარგის გადატანა გადმოტანამ შესამჩნევად იკლო. მიზეზი ის **სტიქიური უბედურებანია,** რომელიც წელს საქართველოს ბევრს **კუთხეს** დაატყდა.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა შუამდგომლობა აღძრა, პენსია მოემატოს ტფილისის მაზრის პირველ განყოფილების **მომრიგებელ შუამავლად** ნამყოფს თავ. ჭავჭავაძეს საგლეხო რეფორმათა განხორციელების საქმეში დიდის შრომის მიღებისათვის.

✦ უკვე ჩამოვიდა ტფილისში ტფ. **სასულიერო სემინარის ახალი რექტორი** არქიმანდრიტი იეროფეი.

✦ ამას წინად ივანიცკის ქალის თეატრში ბ-ნ **ერმოლოვის** მიერ **„კაპეიკის“ კავშირის სასარგებლოდ** გამართულ ლექციის წმინდა შემოსავალი 105 მ. 26 კაპ. იყო.

✦ **მომხმარებელ ამხანაგობის „მომავალის“** დამფუძნებელ კრებაზე გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ამბაკო ჭელიძე, მიხეილ სანოძე, ალ. ბაკურაძე, ისაკ ალხანაშვილი, არამ ოჰანეზოვი, ბ-ნი შერმაზანოვი, შალვა მიქელაძე, ბ-ნი კუციშვილი, პლატონ ჯანელიძე, ბ-ნი მეგრელიშვილი, იაკობ სირაძე, ლევან მამულაიშვილი, ილია კალანდაძე, ბ-ნი ბურჯანაძე და ვერა კალანდაძე. მათ კანდიდატებად: მალაქია მათბელაძე, ბ-ნი გოგელია და სოლომონ თელია.

✦ **სახალხო** განათლების **სამინისტრომ** წელს 1,000 მან. გადასდო **კავკასიის** სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიაში მოსამსახურეთათვის **სააღდგომო საჩუქრად** დასარიგებლად.

✦ **გორის მაზრის უფროსად ნამყოფ ბაქრაძის საქმეს** ტფ. სამოსამართლო პალატა 2 მაისს გაარჩევს. მას ბრალდება სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა.

✦ **კავკასიის** ნამესტნიკმა შეუძლებლად **სცნო,** ნება **მისცეს** ტფ. ქალაქის **გამგეობას** რკინის გზის სადგურის **იმ** შენობათა შეფასებისა, სადაც რკინის გზის მოსამსახურენი სცხოვრობენ.

✦ როგორც ეტყობა, **დეპუტატი ჩხეიძის საქმეს ბოლო აღარ ეღება.** მკითხველებს, ალბად, ახსოვთ, **რომ** ამ საქმის განხილვაზე ტფილისის გუბერნიის საარჩევნო კომისიამ უარი სთქვა, ეს ჩვენს **კონტენტენციაში** არ შედისო. კომისიის ასეთი დადგენილება სენატმა არ დაადასტურა **და** საჭიროდ **სცნო, კომისიამ** ეს საქმე ხელ-მეორედ განიხილოს. თანახმად სენატის დადგენილებისა, ტფ. **გუბერნატორმა** ტფილისის გუბერნიის **საარჩევნო** კომისიას 31 მარტს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საქმის ხელახლა განხილვას. პირველი კრება კომისიისა ამ საკითხის განსასილველად 4 აპრილს მოჰხდა.

✦ ტფილისში ჩამოვიდა **ერევნის ქალაქის მოურავი** ი. ფ. ტიგრანოვი და 3 აპრილს ნამესტნიკს წარუდგა.

✦ **დასავლეთ საქართველოში მკაცრის ზამთრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ** 3 აპრილს ნამესტნიკის სასახლეში რუსულ ენაზე სასულიერო კონცერტი გაიმართა ბ-ნ ელცოვის ლოტბარობით. კონცერტმა კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ გუშინ ბაქოს გაემგზავრა **ბაქოს ეპისკოპოსი** პიმენი.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** უკვე დაბრუნდა თელავიდან ტფილისში.

✦ 4 აპრილს ტფილისში შეაბარეს 47 უბსაბორტო.

ჟურნალისტის დღიური

16

ქართული თეატრი

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება წერილი ბ-ნ ს. ჭანტურაშვილისა, რომელიც ურჩევს ქართველ საზოგადოებას ჯეროვანის ყურადღებით მოეკიდოს თეატრს და მის საქმეთა გამოსასწორებლად განსაკუთრებული ძირითადი ფონდიც კი დაარსოს. თეატრს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ ეხლაც. უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას წარსულში. ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ბევრი მტკიცება აღარ სჭირდება. დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ქართულს თეატრს, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან ხაზი არ გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართულ საზოგადოებრივი ცხოვრებაში სათეატრო საქმეებს გაცილებით მეტს ენერგიას სწირავენ, ვიდრე საჭიროა. ჩვენი საზოგადოებრივი ენერგია ძალიან ბატარაა, იგი უნდა, საჭიროებების-დამიხედვით, პროპორციონალურად იხარჯებოდეს. ჩვენში კი ასე არ არის. ჩვენში გადაჭარბებულ-გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ თეატრზე. ვინც საგაზეთო ცხოვრებასთან დაახლოვებული არ არის, ეს მისთვის ისე ადვილი გასაგები არ იქნება. მაგრამ გაზეთის თვითოეულმა მუშაკმა ძალიან კარგად იცის, რანაირად უცქერის პროვინციელი თეატრს და რანაირად აზვიადებს მის მნიშვნელობას. რედაქციაში ჩვეულებისამებრ, აუარებელი მასალაა მხოლოდ თეატრის შესახებ. ყოველს დაბიდან, ყოველს მიყრუებულ სოფლიდან მოდის უზარმაზარი რეცენზიები იმისთანა პიესებზე, რანაირიცაა „არც აქეთ, არც იქით“, ან კიდევ „დატრიალდა ჯარა“. კორესპონდენტი ღრმადაა დარწმუნებული, რომ „დატრიალდა ჯარა“-ას დადგმა სოფელში იმდენად საყურადღებო ფაქტია, რომ იმის შესახებ მთელი ფელეტონები შეიძლება დაიბეჭდოს გაზეთში. ცხადია, ყველა ამ კორესპონდენტებს მეტად გაზვიადებულად აქვთ წარმოდგენილი თეატრის მნიშვნელობა, რომლის დამცირებაც ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს აზრად.

ასევე გაზვიადებულად ესმის თეატრის მნიშვნელობა ბ-ნ ჭანტურაშვილსაც. რომლის წერილიც ზეგვით იბეჭდება. თეატრს მნიშვნელობა აქვს. ყოველი ღონისძიებაც უნდა იქმნას მიღებული, რომ თეატრი თავის დანიშნულებას ასრულებდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, **რომ** ამისათვის მთელი საზოგადოებრივი ენერგია უნდა ამოძრავდეს, როგორც ეს ბ-ნ ჭანტურაშვილსა ჰგონია. პრაქტიკულადაც **რომ** განსახორციელებელი იყოს ეს აზრი, მაინც ვერ შეგვიძლიან მხარი დაუჭიროთ მას, რადგანაც თეატრი არ არის ის დაწესებულება, რომლის გარშემოც უნდა **შემოკრბეს მთელი ქართველობა** და ამოძრავდეს მთელი ქართველობის საზოგადოებრივი ენერგია.

ქართველებს ბევრი სხვა რამ, უფრო საჭირო საქმეები აქვთ გასაკეთებელი. თვითოეული ჩვენი საქმე, ეკონომიური ცხოვრება, სახალხო განათლება, სპეციალურ ცოდნის გავრცელება და სხვ.,—ყველა ეს საზოგადოებრივ დახმარებასა თხოულობს, და ამისთანა პირობებში თეატრის მნიშვნელობის ისე გაზვიადება, როგორც ბევრი აზვიადებს, ყოვლად შეუძლებელია.

ამას გარდა, ქველ-მოქმედება ხელოვნებას ვერ ააყვავებს. ქართულმა თეატრმა უკვე განვლო ის ხანა, როდესაც იგი ქველ-მოქმედებას საჭიროებდა. დღეს თეატრი მხოლოდ მაშინ დადგება მკვიდრს ნიადაგზე, თუ თავის გულის სიღრმეში გამონახავ მაცოცხლებელი ძალა; მხოლოდ ეს დაიხსნის ქართულ თეატრს გაჭირვებიდან, და არა ქველ-მოქმედება, ან საზოგადოებრივ ძალთა ამოძრავება..

შინაური.

რა ვაკეთოთ!

(თეატრის გარშემო)

ამ უკანასკნელ დროს ჩვენშიაც ბევრს ლაპარაკობენ თეატრზე. ბევრსაც სწერენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სპეციალურ სათეატრო ორგანოს გამოცემაც კი დაიწყეს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ თეატრის ბედ-იღბალი ჩვენშიაც საჭირ-ბოროტო კითხვად გამხდარა.

ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს. თეატრი ისეთი დაწესებულებაა, რომლის არსებობა-აღორძინება მჭიდროდ დაკავშირებულია ერის ნივთიერ მდგომარეობასთან. მარტო სურვილი არ არის საკმარ. სურვილს ნიადაგიც უნდა განსახორციელებლად. ქართველი ერი კი, საუბედუროდ, ნივთიერად ძალიან დაქვეითებულია, რომ მას თავის თავად ღონე შესწევდეს ასეთი დაწესებულების იმ სიმაღლეზე დაყენება, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თეატრი განვითარების ისეთს საფეხურს განიცდის, როდესაც ინგრევა ძველი ფორმები და ახალი ხელოვნება ბატონდება სცენაზე. სამუდამოდ გაჰქრა ის დრო, როდესაც პიროვნებას სცენაზე გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა „დიდებული აქტიორი“ ერთად-ერთი მომქმედი პირი იყო სცენაზე და დანარჩენები კი უბრალო სტატისტების როლს თამაშობდნენ. ეხლა „ანსამბლს“, დრამატიული ნაწარმოების მთლიანად გადმოცემას, უპირველესი ადგილი უჭირავს სასცენო ხელოვნებაში. თანამედროვე საზოგადოება მეტის ყურადღებით ეწევა **მოლიან** შთაბეჭდილების მიღებას. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად საჭიროა მეტი განათლება, მეტი დაკვირვება, ნივთიერად უზრუნველყოფა, ერთის სიტყვით, საჭიროა გაცილებით უკეთესი პირობები ვიდრე ისეთი, რომელიც ჩვენი სცენის მოღვაწეები იმყოფებიან. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ დღევანდელი ქართული თეატრი გასაოცარ კრიზისს განიცდის. ამით აიხსნება ის, რომ ტფილისში, საქართველოს დედა ქალაქში, ეროვნული თეატრი სულს ღაფავს და დრამატიული საზოგადოება შესაფერად იმ მცირე რაცხოვან დასსაც ვერ არჩენს, რომელიც მას მოუწვევია.

ეს სამწუხაროა. მაგრამ ცრემლების ღვრა უბრალო და უმნიშვნელო სანტიმენტალობაა, რომელსაც არასოდეს არ მოუტანია რაიმე სერიოზული ნაყოფი და ვერც მოიტანს. არ არის ისეთი მდგომარეობა, რომლიდანაც გამოსვლა არ შეიძლებოდეს.

თეატრი ის დაწესებულებაა, რომელიც ერის გულში ეროვნულ „მე“-ს აღვივებს, რომელიც ხელს უწყობს ენის შენარჩუნებას და აკავშირებს ერს ერთ მთლიან ორგანიზმად. ჩვენი დაქსაქსული საქართველოც ყველაზე მეტად საჭიროებს ამ მთლიანობას. თუ ეს ასეა, თეატრი უნდა გადაიქცეს საზოგადოებრივ კითხვად და ერი, როგორც ასეთი, თვით ღებულობდეს მონაწილეობას მის ზრდა-განვითარებაში. თუ მართალია ის აზრი, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა, და თეატრი კი სიღარიბეს ვერ ეგუება, გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ იგი ვერ შესძლებს ჩვენში კომერციულ დაწესებულების როლის შესრულებასაც. თეატრის სათავეში მყოფნი არ უნდა ცდილობდნენ, რომ წლის ბოლოს თეატრის კასის აქტივი აღემატებოდეს მის პასივს. მათ უნდა აინტერესებდეს მხოლოდ ხელოვნების წინ-მსვლელობა და ნივთიერი მოსაზრება უნდა მოვაშოროთ მათ მოქმედებას. უნდა **შევქმნათ საქართველოს ფონდი,** რომელიც თეატრის არსებობას უზრუნველყოფდეს რამოდენიმე წლით მაინც.

ამნაირად კითხვის დაყენება ერთადერთი ფორმაა, რომელშიაც შეიძლება ჩვენი თეატრის განვითარება. სხვა გზა ქართულ თეატრს არა აქვს. არა თუ ქართულს, აიღეთ „მოსკოვის სამხატვრო თეატრი“. ამ წმინდა ხელოვნების დიდებული ტაძრის აღმოცენებას კომერციული მოსაზრება არ ჰქონდა სარჩულად დადებული. პირიქით, სტანისლავსკი და ნემიროვიჩი-დანჩენკო—ეს მორალურად სულის ჩამდგმელნი ხსენებულ თეატრისა—მოუსვენრად დაეძებდნენ ისეთს პირთ, რომლებსაც ფულთან ერთად ექნებოდათ ღრმა პატივისცემა ხელოვნებისადმი, რომლებიც ხელოვნების განსპეტაკების იდეით იქნებოდნენ გატაცებულნი და, პირველ ხანებში მაინც, „მოგებას“ არავითარი მნიშვნელობა ექნებოდა მათ მოქმედებაში. და თუ დღეს მოსკოვის თეატრი ზარალის მაგივრად, ვეღარ იტევს თავის კედლებში მაყურებელთ, ეს იმის შედეგია, რომ „სამხატვრო თეატრმა“ გადააჭარბა თავისი ხელოვნებით დანარჩენ მოსკოვის თეატრებს.

ნურავის გააცინებს ის, რომ ჩვენ მოსკოვის თეატრზე ვუთითებთ. მართალია, იქ მდიდარი ხალხია, იმათ დროინდ შესწევთ რამდენიმე ათი ან ასი ათასი მანეთი ისეთს საქმეს მოახმარონ, რომლიდანაც არავითარს მოგებას არ გამოელიან. ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ნუ თუ დავიჯეროთ, რომ საქართველო ისე დაცემულია, რომ თავისი ერის ასაღორძინებლად ვერ შესძლებს რამოდენიმე ათასის შეკრებას. ნუ თუ დავიჯეროთ, რომ ის პატივცემული პირნი, რომლებიც მუდამ ქართველობაზე ლაპარაკობენ საქმით ვერ დაამტკიცებენ თავის პატრიოტობას. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამტკიცებთ, თითქოს თეატრი ისეთი რამ იყოს, რომელსაც ერის ვერც ერთი მოთხოვნილება ვერ შეედრებოდეს. მაგ. სხვებთან ერთად თეატრი აუცილებელი ასპარეზია, სადაც ერს შეუძლია თავისი „მე“-ს გამოჩენა. ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ის აზრი, თითქოს ჩვენი უბედურება აქტიორების უყოლობა იყოს. ვინც ამას ამბობს, იმას ალბად არა აქვს ქართველი კაცის ბუნება გათვალისწინებული. თუ სადმე შესაძლოა აქტიორების ყოლა—მით უმეტეს საქართველოში, სადაც „ტემპერამენტი“,—გრძნობა, მახვილი გონება და სიცოცხლე ბუნებრივი თვისებაა ქართველი კაცისა. მართალია არა გვყავს განათლებული აქტიორები, მაგრამ ეს გარდამავალი მოვლენაა.

უკანასკნელ წლების სიმბოლიზმი

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

2.

ქართულ სიმბოლიურ დრამებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანის სულიერ დრამას, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ჩვენი ახალგაზრდა დრამატურგები ამას გვერდს ვერ აუქცევდნენ. საზოგადოდ მხატვრული ლიტერატურის და განსაკუთრებით დრამის მოვალეობას არ შეადგენს ამა თუ იმ მიმართულების, მსოფლ-მხედველობის შემუშავება და ძისი ცხოვრებაში გატარება. პირიქით, თუ ხელოვნური ნაწარმოები სინამდვილის უტყუარი გამომხატველი არ არის, იგი მას საკმაოდ მაინც უნდა უახლოვდებოდეს. უამისოდ ნაწარმოები ვერ დაიმსახურებდა ხელოვნური ნაწარმოების სახელსა. ამ დრამებში იქნებ ხანდახან ისეთ აზრებსაც მივაქციოთ ყურადღება, რომელთა ხაზ-გასმით გამოთქმა ჩვენს დრამატურგებს, შეიძლება ფიქრადაც არ მოსვლოდეთ; ამით მათი ნაწარმოებთა ღირსების დამცირება არა მაქვს სახეში. პირიქით, განსაკუთრებული ღირსება მწერლის აზრს მაშინ ეძლევა, როცა იგი ძალდაუტანებლად არის გამოთქმული, როცა საზოგადოებაში არსებული აზრს ავტორი წინდაწინ გაუსაზღვრავ და გაუთვალისწინებულ მიზნით გამოსთქვამს, როცა მას მწერალი-შემმოქმედი თავისუფლად, ბუნებრივად **გარდაქმნის** თავის მხატვრულ ნაწარმოებში და მშვენიერების სახით უბრუნებს ისევ მკითხველ საზოგადოებას. მახსოვს სადღაც ჩვენმა დიდმა პოეტმა აკაკიმ სთქვა: ხშირად სრულებით არ მიფიქრნია იმ აზრების შეჭქმნა-შემუშავებაზე, რომლითაც ხანდისხან ჩემი კრიტიკოსები მაწერენ ხოლმეო. ამიტომაც არის აკაკი დიდებული ეროვნული პოეტი, რომ მან კი არ შეჭქმნა, არამედ **გარდაქმნა** თავის საუცხოო ნაწარმოებებში ის აზრი, რომელიც ხალხში ტრიალობდა.

ჩვენს მწერლობაში ისეთ დრამატიულ ნაწარმოებათ, სადაც სიმბოლიურად არის აღნიშნული და გამოთქმული აზრი ადამიანის სულიერ დრამის შესახებ, უნდა ჩაითვალოს: ს. გლახაშვილის „წყურვილი“ (დაწერილია 1909 წ.), ნ. შიუკაშვილის „გამხმარი ფოთოლი“ პიესის სახით ოთხ-მოქმედებად (დაიბეჭდა 1910 წ.), მისივე „სიმახინჯე“*) და ალ. შანშიაშვილის „ბედი მგოსნისა“ ლექსად**). ამ ნაწარმოებით, როგორც დრამებს საზოგადოდ და განსაკუთრებით, მათ ჩვეულებრივ სიმბოლიზმის მხარეებს, არ ვეხები. ჩემს მიზანს შეადგენს მხოლოდ ზოგიერთ უმთავრეს გმირთა სულიერი დრამის მსვლელობა, იმათ ხორცშესხმულ აზრთა თანდათანი განვითარება. საზოგადოდ სიმბოლიური მწერლობის თვისება და დანიშნულებაა შეგვაგნებინოს ქვეყნიერება, მსოფლიო მოვლენანი და ადამიანის ცხოვრება სიმბოლოებით. ჩვენი დრამების სიმბოლიზმი ხანდახან აქა-იქ უბრალო ალეგორიზმს მოგაგონებთ. ზოგიერთი ადგილები ცალმხრივს, დაუსრულებელს ‘ძთაბეჭდილებას სტოვებს ჰკითხველზე; აშკარა უკმაყოფილებასა გრძნობთ, რომ პიესას რადაც აკლია. ეს ცოტა ნაკლს შეადგენს ზოგიერთი აქ აღნიშნული პიესისასაც. არ. გარნფელდი ამბობს: „სიმბოლიური მწერლობა ცდილობს ჩააგონოს მკითხველს ის, რაც სიტყვას არ ძალუძს გამოსათქმელადო. რასაც გრძნობები ვერ გამოთქვამენ, ის სიმბოლიზმმა სხვა საშუალებით უნდა გამოხატოსო“. სულიერი დრამის თავიდან ასაცილებლად გრძნობა-გონება, მართლაც, სუსტია და უძლური. მეტერლინკის აზრით სუფნი უსიტყვოდაც კარგად სცნობენ ერთმანეთს. (ხაზი ჩემია). აქ სიჩუმე სიტყვაზე უფრო მეტევრმეტყველია. მონათესავე სულთათვის ერთად ყოფნაც საკმარისია, რომ ერთი სულის იდუმალი ცხოვრება სავსებით მეორეს გადაეცესო. ბარნოვიც გვეუბნება თავის „ტკბილ დუდუკში“: „ძლიერ სევდაში სიტყვა უძლურია, მხოლოდ ახლოს ყოფნით თუ ანუგეშებ ბედშავსო“.

ს. გლახაშვილის დრამა „წყურვილში“ ერის საყურადღებო აზრსა ვპოვებთ. მაგრამ, რომ ეს აზრი უფრო ნათლად გავითვალისწინოთ, საჭიროდ მიმაჩნია დრამის შინაარსი ორიოდე სიტყვით მაინც აღვნიშნო. ქეთევანისა და დავითის მამინაცვალმა დიდმა ბატონმა მფლობელაძემ, დაისაკუთრა რა მთელი სოფელი, უზარმაზარი კედლით დაუხშო მას მზის ცხოველ-მყოფელი სხივები და წმინდა წყარო. სოფელი ჭაობად გადაიქცა და დასნეულდა. ბოლოს სოფლელებმა გადასწყვიტეს ამ კედლის დანგრევა. ეს აზრი ქეთევანს და მისს დედა მარიამს გაუზიარეს. ქეთევანი დაარწმუნებს ძმას და დედას, რომ მფლობელაძე მათი ოჯახის და სოფლის მფარველი კი არა, დამღუპველია. ესენი სოფლელებთან ერთად საქმეს მოაწყობენ კედლის დასანგრევად. კედლის აფეთქების დროს იღუპებიან სოფლის წარმომადგენელი ნამოძღვარი მამა ილია და ქეთევანი და მისი სულის სწორი გლეხის შვილი მიხა. ასეთია მოკლე შინაარსი. ეხლა თვით სულიერ დრამაზე. სულიერი ნათესაობა ქეთევანს განუყრელსა ხდის სიზმრის საშუალებით მშობელ მამისაგან. სოფლის მოკეთე მამის მოგონება ავალებს ქეთევანს დაიჩქაროს სოფლის განთავისუფლების საქმე და მაჰის სიზმრად ნანახი სახე კი ამხნევებს მას და მასთან ერთად ყველა შეთქმულს. ქეთევანს—დიდი ბატონის ქალს და მფლობელაძის გერს—ძლიერის სიყვარულით უყვარს გლეხის შვილი მიხა; უყვარს „როგორც ადამიანი—ბუნების შვილი, კეთილი და პატიოსანი კაცი“. ქეთევანმა იცის, რომ „ამგვარ სიყვარულს მისდევს სიყვარული კავშირისა“, მაგრამ მას გადაწყვეტილი აქვს ძლიერი სულის საშუალებით „ჩაიყუჩოს ეს გრძნობა“. „მაგრამ თუ თვით მიხასაც შევამჩნევ ჩემდამი ამ სიყვარულს—ამბობს იგი—აღარ მივხედავ მის გვარიშვილობას,—აუხვევ „ხიდსა“ და შიგ წყალში გავცურავო“... ისე ძლიერ არის ქეთევანი გატაცებული ამ წმინდა სიყვარულით, ამ სულიერი ნათესაობით, რომ იგი არავითარი დაბრკოლების წინ არ იხევს უკან. ქეთევანი ფიქრობს, რომ შეიძლება ვერც კი მიაღწიოს მან მიხაკომდის, შეიძლება ცურვის დროს მორევმაც დაახრჩოს, მაგრამ მას არც ამისი ეშინიან. „ის მირჩევნიან წმინდა სიყვარულის მორევმა დამახრჩოს, ვიდრე ისეთმა, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებითო“, ეუბნება ქალი თავის ძმას დავითს, რომელიც სხვებთან ერთად არავითარ გარყვნილებას არ თაკილობს და არ ერიდება. მისთვის „მთელი ტივი“ უკვე მოტანილია, რომელსაც ნათლადა ჰხედავს, რადგან „განთიადის დასაწყისმა განვლო და უკვე მზემ გადმოიმზირა“. „მაშ მზის სხივი მხოლოდ თვით მიხას ვერ შეუმჩნევია“, ეკითხება დას დავითი. „არც საკვირველია—უპასუხებს და—რადგან იმყოფებიან ჩვენს მამინაცვლის ხელში, რომელმაც თვით ჩვენთვინაც კი ჩვენი მშობელი დედა დედინაცვლად გადააქცია“... მიხას გულშიც ანთია ქეთევანისადმი სიყვარულის ცეცხლი, მაგრამ იმას იგი მისთვის ვერ გაუმჟღავნებია. ან როგორ გაუბედავს „გლეხი მონა“ ბატონის ქალს სიყვარული შესთავაზოს. მიხა თუმცა მიმხვდარია, რომ ქეთევანს იგი უყვარს, ამაში იგი დარწმუნებულიც არის, რადგან გრძნობს მასთან სულიერ კავშირს, მაგრამ მას ჯერ ისევ „ქალბატონობით“ ელაპარაკება. „მიხამ იცის ფასი ბრწყინვალე მზისა,—ამბობს ქეთევანის აღმზრდელი—მისთვის დახშულსა, როგორ შეადრის მზისით მთვარესა“. ქეთევანსაც სწამს, რომ „მზეს მაშინ შეეძლებს ამ ხოფლის განათება, რომ კედელი დაინგრევა“. ამიტომ ისიც გულმოდგინედ შეუდგა ამ კედლის დანგრევის საქმეს და მარტო ორ მოწინააღმდეგე წოდებათა შორის კი არა, საზოგადოდ ადამიანთა შორის „ხიდის“ გადებასა სცდილობს. ქეთევანი მოუთმენლად მოელის გამარჯვების წუთს და მის გულის სიღრმიდან ამოძახილი—„როდის, როდის დაინგრევა ჩვენ შორის ეს კედელი და მომესმის მიხასაგან გაუბედავი სიყვარული“—დამშვიდებული მკითხველის გულსაც კი შეაშფოთებს და ღრმად ჩაფიქრებს. ასე იტანჯვის ორი შეყვარებული ადამიანის სული; მათი სულნი **უსიტყვოდ ერთმანეთს** სცნობენ, შესაერთებლად ემზადებიან, მაგრამ ეს სიყვარულივე იმსხვერპლებს მათ. ქეთევანი სიკვდილის წინ უკანასკნელად წარმოსთქვამს მიხას სახელს და ითხოვს ნიშნად სიყვარულისა მასთან ერთად დასაფლავებას. მიხა კი თავის „სინათლე“ ქეთევანს უხმობს. დრამას ბოლოში დართული აქვს ცოცხალი სურათი, სადაც ღრუბელზე გამოჩნდებიან ამ მსხვერპლთა სულები, რომელნიც მიაქვს „რომ უზენაესმა დაგვირგვინოს... და მათი გულისთქმა იქ ზეცას ამცნოს“. ამ უბრალო წყურვილის სახით ავტორმა თვით შეერითების უშრეტი წყურვილი დაგვიხატა, ის წყურვილი, რომელიც აქამდე ასე გამოუთქმელად არსებობდა ორ მოსიყვარულე-მონათესავე სულთა შორის. ასე გაიდო ამ მხრივ „ხიდი კაცობრიობისა“, რომელიც ჩვენს სადრამო მწერლობაში პირველად ბ. გლახაშვილმა აღნიშნა.

არსებითად თითქმის ამავე საკითხს ეხება ნ. შიუკაშვილი თავის პირველი ცდის ნაყოფში, დრამის სახით დაწერილს „გამხმარ ფოთოლში“, რომელსაც თან მოჰყვა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ღვიძლი შვილი — შიუკაშვილისავე მეორე დრამა „სიმახინჯე“. ამ დრა-

*) იხ. 1910 წლის ჟურნალ „ერის“ NN 16—20.

**) იხ. „ „ „ NN 15, 18, 19, 21, 22, 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, უმთავრესი საჭიროება, რომელიც იხსნის ჩვენს თეატრს იმ განსაცდელისაგან, რომელშიაც ის დღეს იმყოფება, არის, ვიმეორებთ, ძირითადი ფონდის შექმნა და რამდენიმე წლით თეატრის მატერიალურად უზრუნველყოფა. საჭიროა დაარსდეს **„თეატრის მოყვარულთა საზოგადოება“**, რომელიც დაწვრილებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. საჭიროა ფართოდ გაუღოს კარები ამ კიოხვის გამოკვლევას ჩვენი გაზეთის რედაქციებმა და პრესამ დააყენოს ის იმ სიმაღლეზე, როგორიც მას შეჰფერის.

სიო ჯანტურაშვილი.

ტფ. ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ).

სწორედ რომ სავაგლახო და არა ჩვეულებრივი მოვლენა აღმოჩნდა ამას წინად ქალაქის გამგეობის ბიერ სტატისტიკურ ცნობების გამოქვეყნების გამო. ამ სტატისტიკაში ყველანი არიან მოხსენებულნი, გარდა ქართველ კათოლიკეებისა. ქართველების რუბრიკაში მოთავსებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელნი და მაჰმადიანები და ქართველ კათოლიკეთა ხსენება კი არსად არა სჩანს. რას ნიშნავს ეს? რა დაგვიშავებია ჩვენ გამგეობის წინაშე? ხარჯებს და გადასახადებს ჩვენ სხვებზე ნაკლებად არ ვიხდით, მოქალაქეთა მოვალეობას გულმოდგინედ ვასრულებთ და ჩვენ არაფრად გვაგდებენ და ამავე დროს ციფრების რაოდენობას კი აღნიშნავენ ცალკე ცხრილში და ეს რაოდენობა არ აღემატება სამ კაცს? ნუ თუ რამოდენიმე ათასი მცხოვრები ქართველი კათოლიკეებისა ღირსნი არ იყვნენ იმის, რომ ისინიც აღენიშნათ სტატისტიკაში. უკანონო შვილებსავით მიგვმალეს, სადღაც ჩაგვხირეს და ნეტავი ვიცოდეთ მაინც, სად ჩაგვჩხირეს. ეი მაგალითად, სომხების რუბრიკაში ქართველნი არიან: გრიგორიანები, მართლმადიდებელნი და სხვა და სხვა სარწმუნოებისანი; ამ სხვა და სხვა სარწმუნოების რიცხვი უდრის—6694 სულს. ნეტავი ვიცოდეთ, ვინ არიან ეს სხვა და სხვა სარწმუნოების სომხები. ეს რომ გამოირკვეს, იქნება აქ აღმოჩნდეს კვალი დაკარგულ და აბუჩად აგდებულ, ქართველ კათოლიკეებისა. ა'ე არის თუ ისე, ქალაქის გამგეობამ უსათუოდ პასუხი უნდა მოგვცეს ამ საკითხზე და დააკმაყოფილოს ჩვენი კანონიერი ცნობის მოყვარეობა და შელახული ეროვნული თავმოყვარეობა; და რათა იმ ჩვენ მოთხოვნას რაიმე რეალური ნაყოფი მოჰყვეს, მე ვიწვევ ქართველ ქათოლიკებს შეჰკრიბონ ცნობები თავიანთ მრევლში ქართველ ქათოლიკეთა რაოდენობაზე და ეს ცნობები გამგეობას წარუდგინონ, რათა ამ გამგეობამ გაასწოროს თავისი შეცდომები და ჩვენც კუთვნილი ადგილი მოგვინახოს სტატისტიკურ ცნობათა ცხრილში.

ქართველი კათოლიკე.

პირველი სრულიად მსოფლიო მოდგმათა კონგრესი

ამა წლის მკათათვის 13—23-ს ლონდონში მოხდება მსოფლიო კონგრესი, რომლის პროგრამაც ძალიან საინტერესოა. პროგრამაში არ არის შეტანილი პოლიტიკური საკითხები; კონგრესს არ ექნება არავითარი პარტიული ელფერი, იგი არც რომელიმე რეფორმის პროექტის განხილვას შეუდგება. კონგრესის მიზანი მხოლოდ ევროპისა და აზიის ურთი-ერთ დამოკიდებულებათა გამორკვევაა. კონგრესი ეცდება გაითვალისწინოს, თუ როგორ მოხერხდება ევროპის ხალხთა, ჩინეთის, იაპონიის, ინდოელებისა, ეგვიპტელებისა, თურქებისა და სპარსელების შუა კეთილ-განწყობილების ჩამოგდება, ამისათვის კონგრესი იმითი იხელმძღვანელებს, რაც ძეცნიერებას ამ საკითხის შესახებ რამე შეუმუშავებია.

რათა მკითხველი უკეთესად მიხვდეს, თუ რა ხასიათისა იქნება კონგრესი, მოვიყვანთ მისი პროგრამის ზოგი-ერთ მუხლებს. 12 მკათათვეს ანტროპოლოგთა სპეციალური კონგრესი მოხდება, სადაც შემდეგ მოხსენებებს წაიკითხავენ: „მოდგმათა „შეხვედრა-შეერთების გავლენა ჭკუასა და ხასიათზე“, „საზოგადოებრივი წრის გავლენა მოდგმათა განვითარებასა და ხასიათის შეცვლაზე“; თვით კონგრესზე სხვათა შორის წაკითხული იქნება ასეთი მოხსენებანი: „ცნებათა მოდგმა“, „ტომი“ და „ერის „მნიშვნელობა“, „მოდგმა ანტროპოლოგიური თვალსაზრით“, „ქორწინება სხვა და სხვა მოდგმათა წევრებ შორის“, „შემაერთებელი და განმაერთებელი მნიშვნელობა ენისა და სარწმუნოებისა“, „ქალთა თანამედროვე მდგომარეობა“, „საერთაშორისო ენა“, „საერთაშორისო ტრიბუნატი“, „პატივის ცემა, რომელიც თეთრ მოდგმას სხვა მოდგმათა მიმართ უნდა ჰქონდეს“

ჯერ-ჯერობით მხოლოდ 60 მოხსენებაა დამზადებული. კონგრესში ბევრი მეცნიერი მონაწილეობს. მონაწილეობის მიღებას დაჰპირდნენ აგრედვე სხვა და სხვა სახელმწიფოთა მმართველნი, დიპლომატები და სხვანი.

კონგრესის მიზანი რასაკვირველია ძალიან რთულია; დიდხანი არ არის მას შემდეგ, რაც ევროპა დარწმუნებული იყო, რომ იგი სხვებზე მაღლა იდგა და სხვა მოდგმათა ხალხი მისი ყმა უნდა ყოფილიყო. ეს აზრი უფრო ძლიერად ამერიკაში ზანგების მონობამ გამოჰხატა. ევროპიელნი არა ევროპიელთ ისე უყურებდნენ, როგორც ველურებს. და მთლად სპობდნენ. ასე გასწყვიტეს ავსტრალიის ზოგი-ერთი ტომი ჩრდილოეთ-ამერიკის ინდოელებისა და სხვანი; ამ ბოლო დროს ბარბაროსულად მოეკლნენ აფრიკელ შავ-კანიანებს ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები; თავიანთ უღვთოობით გერმანელმა კოლონისტებმა თავი ისახელეს.

„ეერიდ“ კანიანებისადმი ზიზღი იქამდის მივიდა, რომ ევროპიელებს ქვეყანა მხოლოდ თავიანთვის ეგონათ გაჩენილი და სხვათ არაფრად აგდებდნენ. ამ დროს დაიგრიალა იაპონიამ და აღმოჩნდა, რომ პატარა იაპონიასთან დიდი რუსეთიც ვერას გახდება. ეხლა ჩინელებმა გამოიღვიძეს, დაიძრა დიდი საომარი ძალა და ხელ-ახლა გაჩნდა შიში. შიში თეთრ-კანიანებისა ყვითელ კანიანებისადმი. ინდოელები დამონაებულები არიან და თეთრთა უღელის მოხსნა არც ისეთი უტოპიაა, როგორც ბევრსა ჰგონია. შეერთებულ შტატებში ზანგები ისე გამრავლდნენ და განვითარდნენ, რომ ამერიკის „შავი საფრთხე“ სერიოზულად მოელის.

ევროპიელთა კულტურა ძლიერია, მაგრამ ვისი **ხასლა** უფრო ძლიერი, ეს დიდი საკითხია, რომელი მოდგმა უფრო ნაყოფიერია, რომელი უფრო გამძლეა, ვინ უფრო ეგუება სხვა და სხვა ჰავას და ვინ უფრო ინახავს თავის მოდგმურ ელფერს? ეს საკითხები ჯერ გამოურკვეველია და მათი პრაქტიკული გადაწყვეტა კაცობრიობის ბედის გადაწყვეტაა. ამბობენ, რომ მონგოლები, როცა ევროპიელებში შეერევიან ხოლმე, იმარჯვებენ. თუ ეს მართალია და მონგოლები ევროპიელებში უფრო მეტად შეერიენენ, მაშინ სურათი მთლად შეიცვლება. იაპონელებმა ევროპიელ კულტურის ყოველი საღირალი შეითვისეს და ერთ უდიდეს სახელმწიფოს დამარცხება შესძლეს. ჩინელებმაც რომ ასე შეითვისონ კულტურა, ევროპას ადვილად დაამარცხებს და შესაძლებელია, რომ მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა დაიწყოს.

მაგრამ ვიქრი რა საჭიროა? აი დიდი ფაქტი: ევროპამ შავი და ყვითელი ხალხი დაიბარა, რათა თანასწორი მონაწილეობა მიიღონ ზემოდ დაყენებულ საკითხების გამორკვევაში. რა დიდი შეუდარებლობაა ამ ამბავსა და „ბიძია თომას ქოხისა“ და „ველურებზე“ ნადირობის შორის. ისტორიის ჩარხი მობრუნდა. „არსებობისთვის ბრძოლამ“ ხასიათი შეიცვალა. ევროპა ახალ გზას დაადგა.

უცხოეთი

ესპანია.

სკვირგელი ქვეყანა ესპანია. იქ ეფედოფერი უკუდმა ხდება, ვიდრე ეკვრიპაში. ამისი მაგალითი კანალეხასის ისტორიაა, რომელზედაც ამას წინად ვწერდით.

ფერერის საქმის განახლებამ მთელი ესპანია ორ დიდ ბანაკად გაყო. ერთ ბანაკს, რომელიც საქმის განახლების წინააღმდეგია, გენერლები მეთაურობენ. ამ გენერლებმა ისეთი საქმე ჩაიდინეს, რაც ევროპაში საარაკო გახდებოდა: ერთ დღეს ეწვიენენ პირველ მინისტრს კანალეხასს და განუცხადეს, მთავრობამ ფერერის დამსჯელ სამხედრო სასამართლოს მოქმედება უნდა მოიწონოსო. იმის მაგიერად, რომ გენერლები დეტუსადებანი, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფონი მოიქცეოდნენ, კანალეხასმა მოწიდებით თავი დუკრა და მეფე ალფონს XIII დეპეშით შეატყობინა: ბრემიერობას თავს ვანებებო. მეფემ ახალ კაბინეთის შედგენა მასვე მიანდო, მაგრამ მის ახალ კაბინეთში სავაჭრო მინისტრის გარდა ძველი ადარაგინ შესულა, ამ რიგად სახელმწიფო საქმეებში ჯარი ჩაერია. ევროპის ბრესსს უკვირს, რომ „la grande muetbe“ (ბუმბა) ხმა ამოიღო და ისეთ საქმეში ებერა, რაც მას სრულიად არ შეეხება. მართალია, ევროპის სხვა ქვეყნებში ეს ასეა, მაგრამ ესპანიაში საქმე სხვანაირად გახდაგო. ესპანეთის ჯარს, იქ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა ესპანია დამარცხა, უკანასკნელის ჯარი გარეშე მტრების მოსაგერებლად კი ადარ არის, არამედ შინაურ საქმეებში ავტორიტეტად. ევროპის სხვა სახელმწიფოთა მთავრობა სახალხო წარმომადგენლობის უმრავლესობაზეა დამყარებული, ესპანეთსა კი—ჯარისაზე. ესპანეთის მეფე ისეთ ხალხს განაგებს, რომელიც თითქმის ბიერადებით რესპუბლიკანელია; ესპანეთში კლერიკალები იძულებულნი არიან სამხედროებს ებრძოდნენ, სამხედროების მტერნი კი სამხედროებს უჭერენ მხარს. ესპანეთის უმდიდრესი ოდქები კატალონია, ვალენტია და ბარკელონა დარიბ და უკულტურო კასტილიის გეგემონიას ექვემდებარება. ამიტომაა, რომ თუ ჯარი არ იქნებოდა, ესპანეთ ამ სახით, რა სახითაც ეხლა არსებობს ერთ თვესაც ვერ გასძლებდა.

ესპანეთის ახლანდელი წეს-წყობილება ჯარის შექმნილია. ამიტომაა, რომ მადრიდში გენერალ მარტინეს-კამპოსს დიდი ძალა უდგა. ესპანეთის ამ გენერალმა მოახერხა თავს ეხლანდელი კონსტიტუცია, მინვე დასვა მეფედ ალფონს XII, მამა ახლანდელი მეფისა, და ჯარიც თავის თავს უფლებას აძლევს და მოგალდა სთვლის, რომ მის მიერვე შექმნილ კონსტიტუციის მფარველობა გაუწიოს. კანალეხასი ბრელიერად რომ გახდა, განაცხადა: —კლერიკალიზმის საწინააღმდეგო პროგრამის გაუგანს იმიტომ ვგალავ, რომ ჯარმა ამის ნება მომცა.

როცა ფერერის საქმის შესახებ კამათი გამწვავდა, სამხედრო და კონსერვატორულმა კაზეთებმა განაცხადეს:—მთავრობამ ეს კამათი მოსპოს, თორემ მეორე ბიბიც გამოიწვევთ. ბიბის გენერალი იყო, რომ ბარდამენტმა მოინდომა, რომ ესპანეთ ფედერატიულ რესპუბლიკად ექცია, ბიბის ბარდამენტში ჯარებით შეიჭრა და დეპუტატები გაგზავნა.

ფედერატიული რესპუბლიკა კი, ესპანეთის დასახსნელად ერთად-ერთი საშუალებაა, რადგანაც მისი ბრიგინტები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება.

ბარდამენტის ამ აკრძალის შემდეგ დადგა ამ წლის რევოლუცია, რომელიც მხოლოდ ესდა, კანალეხასის ხელში მოისხა.

მაგრამ სახელმწიფო საქმეებში ჯარის ჩარევას მუდამ ცუდი შედეგი რადი მოსდევს. ჯარი ერის ნაწილია და მთავრობის აგკრეთანობა ჯარისათვისაც საინტერესოა. ფერდინანდ VII და მისი ქალის ქრისტინეს მეფობის დროს, როგორც სულის მეფეიდუმლეს და სწამდა ისიც, რომ იგი მის ამ უნებურ შეცდომას აპატიებდა კიდეც. არც მოსტყუვდა ვასო. თუმცა სონამ დიდი სულიერი ტანჯვა გადაიტანა, მაგრამ სულის ნათესავური კავშირი ვასოსთან მაინც ვერ გასწყვიტა. სონას ამის შემდეგაც უყვარს ვასო. „მოულოდნელმა უბედურებამ იქამდის მოჰკვეთა სასოება სონას, რომ მხად არის თავისივე კბილით დაღრღნას თავისი ხორცი... ეაცს რომ კბილი სტკივა, მზად არის თავი ქვას შეანარცხოს და სონას ხომ ეხლა **სული სტკივა**“-ო, ამბობს სონას დედა დარია. „სონას ტანჯვისათვის თავის დახრჩობა მცირე შეღავათი იქნებოდა—ეუბნება დარია მახინჯ საბას—უცვ სიკვდილით ვერ იყრის ჯავრს თავის უბედურებაზე და... მეტს წამებას ვერ მოიგონებდა თავისთვის, ვიდრე თქვენზე გათხოვებასო“! სხვანაირად მართლაც ძნელია სონას ასეთი გადაწყვეტილების აღსნა და გამართლება, თუმცა ამ საბედისწერო ამბის შემდეგ სონას თითქმის გონება წაერთვა და მის სულიერ სიმტკიცესაც ნიადაგი გამოეცალა. რაღა საკვირველია, რომ ქალწულიც მოითხოვს ვაჟისაგან უმანკოებას. ვასოსთვის რომ სამგიერო გადაეხადა, სონამ თავის თავსაც (ილი დასწამა, რომ ვითომ არც ის არის უმანკო. ვასოს, რასაკვირველია, ამ ამბავმა თავზარი დასცა, მან მიატოვა კიდეც სონა, მაგრამ თავისი გადაწყვეტილება ვერ შეასრულა; საბოლოოდ მაინც ვერ განშორდა მას: ძლიერია კავშირი სულისა, მას ვერავითარი შეურაცყოფა ვერ ასუსტებს. ქალი ჰხედავს, რომ ვაჟი იტანჯვის სულიერად. თითონაც ვნლარ ითმენს ამდენს წვალებას და საბასთან დაქორწინების შემდეგ, ვახშმობის დროს, გამოუტყდება ვასოს თავის უმანკოებაში. აქ საჩქაროდ გადასწყვეტენ, თუ როგორ იხსნას სონამ თავი „კანონიერი ქმრისაგან“. ვასო მას რევოლვერს

ალფონსი XIII

ალფონსი XIII

ალფონსი XIII

მუკდენი. გენერალ-გუბერნატორმა სილიანმა ტახტის წინაშე ხარბინის ერობათა და საზოგადოებრივ მმართველობათა პეტიცია წარადგინა. პეტიციის ავტორები ნაციონალური პალატის საგანგებო კრების მოწვევასა თხოულობენ.

პარიზი. მაროკოს ამბებისა გამო, მთავრობამ შაუიტში ჯარები გაძლიერა. ამ მოკლე ხანში ოთხი ბატალიონი კიდევ იგზავნება.

მონასტირი. ლიბრიის სანჯაკში ლიბრსა და იმენოს შუა მოძრაობა დაიწყო. ალბანელები ოსმალთა ყარაულებს თავს ესხმიან. ქვემო ლიბრიდან მოძრაობა ახალ-ბაზარის სანჯაკში გადავიდა. 3 კვირის განმავლობაში 16 ჟანდარმი მოჰკლეს. ალბანელთა ბელადებს კრება ჰქონდათ. სარდლები შველას დაჰპირდნენ, თუ ალბანელები ბრძოლის უნარს და გამბედაობას გამოიჩენენ. მონასტირში ოსმალელი მმართველები ერთობის და პროგრესის კომიტეტს დაექვემდებარა. გზების დარაჯობა და პასპორტების მომოწმება აქ უფრო სასტიკადა სწარმოებს, ვიდრე სალონიკის ვილაეტში. საზოგადოდ კი მშვიდობიანობაა, თუმცა რევოლუციონერები ხანდისხან გამოდიან. რკინის გზებს ჯარი სდარაჯობს. ქ. სალონიკში სულთანის დასახვედრად დიდი მზადებაა, თუმცა სულთანის მოსვლა ალბანეთის დამშვიდებაზეა დამოკიდებული. ახალ-გაზრდა ოსმალთა გაზეთი ალბანეთის საქმეებში რუსებსა სდებს ბრალს და ათასნაირ ცილის-წამებას ავრცელებს. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ერთობის კომიტეტის წევრს ნაზიმ-ბეის ამ საქმის თაობაზე ელაპარაკა. ნაზიმ-ბეიმ განაცხადა—ეს რაღაც გაუგებრობის ბრალიაო. კორესპონდენტმა ნაზიმ-ბეის უთხრა, სალონიკის ვილაეტში მუსულმანებს რომ მიწებს ურიგებთ, ქრისტიანები უკმაყოფილონი არიანო. ნაზიმ-ბეიმ უპასუხა, მაჰმადიანების დასახლებით კომიტეტი მიწის დამუშავებას ხელს უწყობსო. ამ ახალშენებზე 60,000 ოსმალური გირვანქაა დახარჯული.

უსქიუბი. ოსმალელი მმართველები, როგორც მთელ მაკედონიაში, ისე აქ ერთობისა და პროგრესის კომიტეტის ხელში არიან. ადმინისტრაციის არა ოფიციალურ მეთაურად დელეგატი ხუეფერ სამიეეია. აწარმოებენ ტრადიციონალურ პოლიტიკას: ბოლგარელთა და სერბელთა შორის უთანხმოებასა ჰსთესენ, რათა ქრისტიანებმა შეერთება ვერ მოახერხონ. აქაური ალბანელები ჯერ-ჯერობით წყნარად არიან, მაჰმადიანები კი შეიარაღებულნი. ოსმალებს აგროვებენ ბოლგარელებთან საბრძოლველად. გზებზე გაძლიერებული დარაჯები დააყენეს. კომიტეტის გაზეთი, სალონიკის გაზეთებისავით, ოსმალთა საწინააღმდეგო წერილებსა ჰბეჭდავს.

მადრიდი. ფეციდან ამბავი მოვიდა, 27 მარტს ბენიანგარების და ბენიმტერების თემები ქალაქს დაეცნენო. ქალაქის კარი დაკეტილია. ქალაქელებს საგზალი ნაკლებადა აქვთ. კონსულებმა ევროპიელებს ურჩიეს ქალაქს თავს ნუ დაანებებთ. მდგომარეობა მეტად გართულებულია.

ლოს-ანგელოსი (კალიფორნია). 4 აპრილს აგუაპრიეტასთან ჯარმა და აჯანყებულთ ბრძოლა დაიწყეს.

მექსიკა. მთავრობა თავის უფაღლ მეომრებს 6 თვის ვადით იწვევს.

რეიმსი. მეღვინეთა მიდამოებში გუშინ მშვიდობიანობა იყო. მხოლოდ ქ. აისთან რამდენიმე დღიური ტყე გადასწვეს.

სოფია. გეშოვმა რუშჩუკში საპროგრამო სიტყვა სთქვა: მშვიდობიანობის მომხრენი ვართ, ყველასთან მეგობრული განწყობილობა გვსურს ვიქონიოთ, მეტადრე მეზობლებთანაო. ეს იმიტომ კი არ გვინდა, რომ რომელიმე სახელმწიფოს ვაამოთ, არამედ იმიტომ, რომ ამას ბულგარეთისა და ბოლგარელების ინტერესი მოითხოვსო. ვი მედოვნებთ, ოსმალეთი ჩვენს განზრახვას მხარს დაუჭერს და მიზნის მისაღწევად ხელს მოგვიმართავსო.

რუსეთი

ნოვგოროდი. სოფელ. ალექსანდროვკაში 96 სახლი დაიწვა. ბევრი საქონელი დაიღუპა. ზარალი 80,000 მან.

პეტერბურგი. ღამე 4 აპრილს გამოჩენილმა მხატვარმა კრიეიცკიმ თავი ჩამოიხრჩო.

უმაღლესად ნება-დართულია სემირეჩინსკის ტყიდან დაზარალებულთა სასარგებლოდ ხე-ტყის გაზიდვა.

ფინანსთა მინისტრმა სათათბიროში კანონ-პროექტი შეიტანა. კანონ-პროექტით პრიამურის ოლქში საბაჟო თვალ-ყურის დევნა უნდა გაძლიერდეს.

უმაღლესის ბრძანებით ილიოდორი ცარიცინში დასტოვეს.

მოსკოვი. დაატუსაღეს 11 ს.-რ. იპოვეს მიწერ-მოწერა და ჯგუფის ბეჭედი.

კიევი. ს.-დ. კონფერენცია დაატუსაღეს. რიცხვით 8 კაცი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ 4 აპრილს პროექტი რუსეთ-იაპონიის საზოგადოების დაარსებისა მოიწონა.

ადესა. ბოლგარელმა ექსკურსანტებმა ქალაქი დაათვალიერეს.

სიმბირსკი. მრავალი ხალხის თანადასწრებით ნაციონალურ კავშირის განყოფილება გაიხსნა. პრეზიდიუმში შედიან: სახელმწიფო საბჭოს წევრი პოლივანოვი და სათათბიროს წევრი მატოვიჩი. სრულიად რუსეთის ნაციონალურ კავშირის თავმჯდომარის ანხანაგმა ბიკოვმა სთქვა, ამ კავშირის მიზანი რუსთა ინტერესების დაცვაო.

თეატრი და ხელოვნება

პეტერბურგი. პეტერბურგში, ჩინიზელლის ცირკში დასდგეს ძველი ბერძნების დრამატურგ **სოფოკლის** ტრაგედია **„ედიპე მეფე“**. განახლება ძველთა-ძველისა, მაგრამ მაინც დიდებულ ნაწარმოებისა, ძველებურ თეატრის წარმოდგენის გაძართვა, ბევრ საინტერესო რასმეს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ხალხმა ცირკი გაავსო.

წარმოდგენის გასამართად რეინდგარდტმა ცირკი იმისთვის ამოირჩია, რომ ძველი ბერძნების თეატრი ეხლანდელ ცირკსა ჰგავდა. მხოლოდ უფრო დიდი და გადუხურავი იყო, მოქმედება ღია ასპარეზე სწარმოება ხოლმე, და არა სცენაზე, როგორც ეხლა. ედიპის როლი მოისეს შეუსრულებია და საუცხოოდაც შეუსრულებია. ედიპეს მეუღლის იოკასტეს როლში როზა ბერნტესი გამოსულა, მაგრამ ეს უფრო სუსტი ყოფილა. სატახტო ქალაქის საზოგადოება და გაზეთები ამ წარმოდგენით აღტაცებულნი არიან.

მოსკოვი. 27 მარტს გარდაიცვალა მოსკოვის სამხატრო თეატრის მსახიობი ქალი სავიცკაია. სავიცკაია ერთ უნიჭიერესს მსახიობად ითვლებოდა. მისმა თამაშმა მოჰხიბლა გერმანიის საზოგაროება, იმპერატორი ვილჰელმი და დრამატურგი ზუდერმანი. სავიცკაია ნემიროვიჩ-დანჩენკოს მოწაფე იყო, სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიულ სასწავლებელში და ნიჭი მაშინვე გამოაჩნდა. დაარსდა თუ არა სამხატრო თეატრი 1898 წ., ნემიროვიჩ-დანჩენკომ მაშინვე მოიწვია ამ თეატრში, რომელიც რუსეთის თეატრების სიამაყეს შეადგენს, სადაც აქამდის მსახურობდა. სავიცკაიას 24 პიესაში ჰქონია როლი.

სავიცკაიას კუ ჰქონია. ექიმები მხოლოდ რამდენიმე კვირის წინდ მიუხვდნენ სენს, თუმცა ქალი დიდხან ს ავადმყოფობდა. ამ სნეულობამ გამოასალმა წუთი სოფელს ნიჭიერი მსახიობი.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რ-ო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო საზოგადოებას და შევატყობინო შემდეგი. მეტეხის ციხეში არსებობს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ ტუსაღები. ბიბლიოთეკას განაგებენ თვითონ ტუსაღები ციხის ადმინისტრაციის ზედამხედველობით. ციხეში ითვლება 800-ამდის ტუსაღი, 85% მათგანი წერა-კითხვის მცოდნეა, დანარჩენიც ან ციხესთან არსებულ სკოლაში და ან ამხანაგებისაგან სწავლობენ წერა-კითხვას. ბეყრისათვის წიგნის კითხვა და მეცადინეობა ერთად ერთ ნეგეშს შეადგენს მათს არა სანუგეშო მდგომარეობაში.

ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა ცოტათი თუ ბევრად გამდიდრდა რუსული წიგნებით შემომწირველთაგან, ხოლო ქართული და სომხური წიგნები ძალიან ცოტაა; თათრული კი სრულებით არ არის. ტუსაღთა უმრავლესობამ კი მხოლოდ ამ უკანასკნელ ენებზე იციან კითხვა, რის გამოც ციხის ბიბლიოთეკა ძალიან ნაკლებ აკმაყოფილებს ამ მხრით ტუსაღთა სულიერ მოთხოვნილებას.

ტუსაღების დავალებით მივმართავ ყველა ქველ-მოქმედ პირთ და საზოგადოებათ, ავტორებს და გამომცემელთ და ვთხოვ დახმარება ალმოუჩინონ მეტეხის ციხის ბიბლიოთეკას წიგნების შემოწირვით.

შემოწირულ წიგნებს იღებენ თვითონ ციხეში.

ექიმი ალ. მაღალაშვილი.

P. S. ვთხოვ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი. **ა. მ.**

ბ-ნო რედაქტორო!

დღეს ჩამოვიდა ჩემი მეგობარი კაცი, და დავეკითხე პ-ნ იოსებ გარსევანის ძე მუხურაძის ძმის შესახებ. იმან მითხრა, ილიკო მუხურაძე კარგა ხანია არ ცხინახავსო, მაგრამ, თუ ცნობის შეტყობა გინდათ, უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესითაო: **Г. Харбинъ. Грузинское Общество Взаимной помощи.** წერილის მიღებისათანავე, ისინი ვალდებულნი არიან შეკრიბონ ცნობები.

ანდრია ბეგალავა.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი: ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ალ. კ. ოსილოვის სასარგებლოდ ახალ-ციხეში შეგროვდა 11 მ. 15 კ., რაც უკვე გაეგზავნა დანიშნულებისამებრ 9 მარტს.—ახალციხის პროგიმნაზიასთან დასაარსებელ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ლევან ფირალაშვილისაგან მიეიღე 1 მანეთი და ორი შაური, რომელიც უკვე გადავეცი პროგიმნაზიის კანცელარიას.—რაბათის წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის ჟურნალების გამოსაწერად გადმომცეს ექიმმა ივ. ასათიანმა 8 მ. „განათლებისა“ და „ცხოვრება და ხელოვნებისათვის“, და ზაქრო დიდიმაშვილმა 5 მ. „ნაკადულისათვის“. „განათლება“ უკვე მისდის და „ცხ. და ხელ“-ბა კი ჯერაც არ მისულია, თუმცა ფული კი ხანია გაგზავნილი მაქვს. არ მოსდის აგრედვე „ნაკადულიც“.

მეხი კონსტანტინე გვარამაძე.

ბ ნ ო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ვამცნოთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ამ გაზეთის 257 ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციის (სოფ. მეჯვრისხევიდან) ის ნაწილი, სადაც ბ-ნი კორესპონდენტი ეხება აღგილობრივ სამინისტრო სასწავლებელში ქართულ ენის არა სასურველ ნიადაგზე დაყენებას, სიმართლეს მოკლებულია, რასაც მკითხველი საზოგადოება დაინახავს ამ სასწავლებელში მიღებულ შემდეგი გეგმიდან: I-ლ განყოფ. გავდივართ მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ქართულად, დამატებით იანვრიდან გავდივართ „ლექსიკურ გაკვეთილებს“, ისე იგი ისე, როგორც გვიკარნახებს 1881 წლ. გეგმა. რაც შეეხება რუსული ანბანის სწავლებას, ამას ჩვენ ვაწყობინებთ მეორე განყოფილებაში სექტემბრიდან. ასეთივეა ბ-ნ სახალხო სკოლების ინსპექტორის განკარგულებაც. შეიძლება ჩვენც გვესმოდეს ნაკლულოვანება დღევანდელი ჩვენის სამინისტრო სკოლების სამოსწავლო გეგმისა, მაგრამ რა ვქნეთ? უმაღლესად დამტკიცებულ 1881 წლის გეგმას ჩვენ ვერ გადავაკეთებთ.

პატივისცემით მეჯვრისხევის სამინისტრო 2 კლასიანი სასწავლებლის მასწავლებელნი: **ვ. მიქელაძე, ბარამ მღებრიშვილი.**

პატივცემულო

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის ფურცელზე ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილსაც.

„სახალხო გაზეთის“ 233 ნომერში მოთავსებულია წერილი პარიზიდან. იქ მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობა ახსენებს „თავის გულმავიწყ მოვალეებს ვალის გადახდას“ და იქვე დასძენს, რომ კრების დადგენილებით სულ დაზღვეულ ბარათებით მოსვენებას არ ვაძლევდითო.

პარიზის ქარ. საზ. გამგეობა სწუხს, რომ არავითარი საშუალება არა აქვს რაიმე რევრესიები იხმაროს ჩვენს წინააღმდეგ და ხედავს რა თავს ამნაირ უნუგეშო მდგომარეობაში, მოიხმობს საზოგადოებას, „რუსეთში მოსწავლე ამხანაგებს“ ჩვენზე მსჯავრის დასადებათ.

რა ამბავია? რა მოხდა ამის ფასი?

Audeatur et altera pars!

ჩემ „მხსნელთა“ თქმისა არ იყოს, წელიწად ნახევარია მას შემდეგ, რაც მაშინდელმა გამგეობის წევრმა ბ. იოსებ ბეშეშვილმა მასესხა მე (და არა სხვას*) ასე რომ ვინმესი, თვითიერ ჩემისა, ყბად აღება მეტია). ფული, რომელიც ჩამოსვლისთანავე უნდა დამებრუნებია. მაგრამ... „კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდა“-ო. ჩემი იმედები, რაზედაც ვემყარებოდი, რომ დესაც ვალს ვიღებდი, გამიცრუვდა და იმ საშინელებამდინაც გამიცრუვდა—რომ ვერც ვალი გადავიხადე და ვერც სწავლის გასაგრძელებლად დავბრუნდი, პარიზისაკენ წასვლის მაგივრად ქუთაისში ჩავრჩი და მთელი ერთი წელიწადი იქ გავატარე. ხოლო სულ არაობას ცალ უდელა ხარი ვაჯობინე და აგვისტოს ბოლო რიცხვებში ექსკურსიით პეტერბურგს წავედ, მაგრამ უსახსრობისა გამო ვერც იქ გავძელ და ექსკურსიითვე ისევ ქუთაისს ჩამოვედ.

აი, ამნაირია ჩემი ეკონომიური მდგომარეობა და თუ ამ პირობებში ვერ შევსძელ ვალის გადახდა, მე მგონი, ამისათვის განგაში და ერთი აურ-ზაურის ატეხა მეტია და ყოველ შემთხვევაში, სტუდენტობისათვის, მეტი რომ არა ვსთქვათ, უხერხული საქციელია.

რაიცა შეეხება „ამ უნუგეშო მოვლენის წინააღმდეგ რუსეთში მოსწავლე ახალგაზდების ხმის ამაღლებას“—მოვახსენებ პარიზში მოსწავლეთ, რომ ეს „ამხანაგები“ ეხლოდ მაშინ „აიმაღლებენ ხმას“, როდესაც ხედავენ თავიანთ მოვალეთ **სწავლა დამთავრებულთ** და უზრუნველყოფილთ.

მე კი, როგორც თქვენც კარგად იცით, ვიმეორებ, არამ თუ სწავლა დამთავრებია, არამედ მის გასაგრძელებლად დასაბრუნებელი სახსარიც კი ვერ მომიძებნია და თუ ამ შემთხვევაში საზოგადოება და რუსეთის სტუდენტობა მხარს დაგიჭერთ ვალის გადახდის დაგვიანებისათვის ჩემ დასათუოგნათ—ამაო მომავალი გვიჩვენებს. დასასრულ მინდა დავანუგეშო პარიზის სტუდენტობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ შეპირებით: **პირველ შეძლებისათანავე თქვენ ფულს მიიღებთ.**

სტ. ხოლომონ ახვლედიანი.

*) იმედია ამას ბ. ჭეიშვილიც დამიმოწმებს, თუ კი საჭიროება მოითხოვს.

„სამკურნალო“

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

ყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).

(წლ.—1152—10)

ზემოთ ხვევით

ისყიდება მიწა

საბურთალოზე 403 ოთხკ. საჟენ, თბილისელ-საგაბაშვილოს ადგილში. პირობების გაგება შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, **ნიკო ქოზაშვილთან.** (0—5)

ბ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ოქრ აბაზი

ყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მაღაზია ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) **და სევრიუგა** (ტარანდა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ხურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიოგგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. ბირ.

და **ბელა-რეგბეც 50 კ.**

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ.—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

დაეჭარეთ ღვინისასნაულებისათვის

საალდგომოდ შეიძინოთ

გრამოფონები

და ფირფიტები

საქციონერო საზოგადოება

გრამოფონი

გოლოვინის პროსპ. № 9.

ყოველად სრული სამუსიკო საკრავია, თუ ზედა აქვს

მსოფლიოდ ცნობილი

საქარხნო მარკა

TRADE MARK

მწერავი ანგელოსი

ელერის ლაპარაკობს იცინის

ამხიარულებს, ართობს და მუსიკის სიყვარულს აღვიძებს.

მიღებულია დიდ-ძალი აპარატები, უკანასკნელ გაუმჯობესებულ კონსტრუქციისა, და ფირფიტები მთელს დედა-მიწის ზურგზე ყველა ენაზე ნამღერისა.

კატალოგები უფასოდ მოითხოვეთ.

(5—1206—4)

,,სამკურნალო“

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

ყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).

(წლ.—1152—10)

ზემოთ ხვევით

ისყიდება მიწა

საბურთალოზე 403 ოთხკ. საჟენ, თბილისელ-საგაბაშვილოს ადგილში. პირობების გაგება შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, **ნიკო ქოზაშვილთან.** (0—5)